ფერადი სიტყვები

მოსწავლეები აფერადებენ სიტყვებს მათში შემავალი ასო-ბგერების მიხედვით.



კლასი: I

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები.

რესურსი: დაფა და ცარცი/ფორმატი და მარკერი; რვეული/ფურცელი, ორი ფერის ფანქარი/კალამი.

მსვლელობა

- მასწავლებელი გამოაკრავს დაფაზე ორ ასოს და თითოეულს შეუსაბამებს რაიმე ფერს (მაგ., "**ხ**" წითელი ფერის იქნება, "**ვ**" - მწვანე).
- შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს ცხრილში ჩასმულ სიტყვათა ჩამონათვალს და აძლევს დავალებას: სიტყვები, რომლებიც შეიცავს „**ხ**"-ს, მოსწავლეებმა უნდა გააფერადონ წითლად, ხოლო სიტყვები, რომლებიც შეიცავს „**ვ**"-ს - მწვანედ. ზოგიერთი სიტყვა, რომლებიც არ შეიცავს ორიდან არც ერთ ასოს, მოსწავლეებმა უნდა დატოვონ გაუფერადებლად.

ნიმუში

ზღარბი	სახლი	ხელი
თაგვი	თევზი	ბაყაყი
ბიჭი	ყვავი	ხმალი